თამარ ცერცვაძე

FH JOANNEUM University of Applied Sciences, Austria

,,13-17 მაისს, Erasmus+ აკადემიური პერსონალის მობილობის ფარგლებში, შესაძლებლობა მომეცა მონაწილეობა მიმეღო, ავსტრიაში, FH | JOANNEUM გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კვირეულის პროგრამაში (International Staff Week).

მობილობის ფარგლებში ვეწვიეთ საერთაშორისო წამყვან ორგანიზაციებს. მივიღეთ ინფორმაცია მათი სტრუქტურის, საქმიანობის, ტექნოლოგიური განვითარებისა და ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით. სამუშაო შეხვედრების ფარგლებში განვიხილეთ ხელოვნური ინტელექტის როლი და მნიშვნელობა. ასევე, დისკუსიის ფარგლებში განვიხილეთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების როლი და მნიშვნელობა დასაქმების ხელშეწყობის პროცესში.

ხაზგასასმელია, რომ მსგავსი მობილობის პროგრამა ხელს უწყობს საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებას, ინტერპერსონალური ურთიერთობების დამყარებას, ინოვაციური პროექტების განხორციელებას.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კავკასიის უნივერსიტეტს, რომელმაც მომცა შესაძლებლობა მონაწილეობა მიმეღო მობილობის პროგრამაში და ხელი შეუწყო ჩემს პროფესიულ განვითარებას.’’